საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი აქტივების შესაძენი. წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იზიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან. შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია შემოსავლებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაცემული ფასდათმობები. კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე, როდესაც ხდება პროდუქციის მიწოდება მომხმარებელამდე.

კომპანიის გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქტის რეალიზაციის, შესაბამისად მიწოდების მომენტში მასზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნების და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

- გაყიდული პროდუქციის უკან დაბრუნება და შესაბამისი ანაზღაურება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. საარღიზხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები
- წლიური ფასიანი შვებულება და ბიულეტენის ანაზღაურება
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განხორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****დამატებითი ღირებულების გადასახადი**

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანია ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვას მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად გადახედავს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივების გაუფასურების, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურებას მოგება-ზარალში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია

კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის შეცდომების გასწორება, ასევე მოახდინა რეკლასიფიკაცია, რათა შესადარისი რიცხვები შესაბამისობაში მოეყვანა მიმდინარე პერიოდის ანგარიშგებასთან. მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გადაანგარიშების და რეკლასიფიკაციის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე

გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი, 2021	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
მარაგები	761,986	21	762,007
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	951,618	(275,723)	675,895
გადახდილი ავანსები	-	165,523	165,523
საგადასახადო აქტივი	-	47,920	47,920
მიღებული სესხები	(7,402,193)	53,083	(7,349,110)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(345,209)	(113)	(345,322)
საწესდებო კაპიტალი	(3,906,403)	62,341	(3,844,062)
გაუნაწილებელი მოგება	(2,440,273)	53,052	(2,387,221)

31 დეკემბერი, 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
მარაგები	864,028	(82,066)	781,962
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,237,373	(724,730)	1,512,643
გადახდილი ავანსები	-	429,248	429,248
მიღებული სესხები	(6,536,268)	(30,503)	(6,566,771)
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	-	(5,852)	(5,852)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(737,290)	(51,831)	(789,121)
გაუნაწილებელი მოგება	(3,209,201)	(465,734)	(3,674,935)

გავლენა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	2021 წლის გადაანგარიშების ეფექტი	მაკორექტირებელი შესწორება 2022	კორექტირებული თანხა
შემოსავალი	7,064,674		(65,419)	6,999,255
რეალიზებული პროდუქციის				
თვითღირებულება	(5,200,000)		(206,745)	(5,406,745)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,578,707)		270,578	(1,308,129)
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	(574,187)		(187,919)	(762,106)
სხვა შემოსავალი	-		65,326	65,326
სხვა ხარჯები	-		(13,904)	(13,904)
ფინანსური ხარჯი	(949,048)		(83,586)	(1,032,634)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული				
წმინდა მოგება	82,311		206	82,517
არასაოპერაციო ხარჯები	(81,486)		(355,380)	(436,866)
სხვა სრული შემოსავალი	(58,057)		58,057	-
გაუნაწილებელი მოგება	(3,209,201)	53,052	(518,786)	(3,674,935)

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***6. ძირითადი საშუალებები**

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანები და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	371,616	4,273,984	-	3,324,425	114,335	71,616	264,991	8,420,967
შეძენა	85,518	13,054	5,085	75,506	11,824	7,801	184,403	383,191
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	457,134	4,287,038	5,085	3,399,931	126,159	79,417	449,394	8,804,158
შეძენა	-	39,633	431,801	802,503	9,703	7,571	85,575	1,376,786
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	457,134	4,326,671	436,886	4,202,434	135,862	86,988	534,969	10,180,944
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2021	-	181,627	-	666,451	43,581	25,930	40,156	957,745
ცვეთის ხარჯი	-	213,699	-	395,747	24,433	15,686	62,585	712,150
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	395,326	-	1,062,198	68,014	41,616	102,741	1,669,895
ცვეთის ხარჯი	-	213,699	-	459,382	25,849	17,180	93,032	809,142
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	609,025	-	1,521,580	93,863	58,796	195,773	2,479,037
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2022	457,134	3,891,712	5,085	2,337,733	58,145	37,801	346,653	7,134,263
31 დეკემბერი 2023	457,134	3,717,646	436,886	2,680,854	41,999	28,192	339,196	7,701,907

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 24,523 ლარს (31 დეკემბერი, 2022 0 ლარი).

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. მარაგები

კომპანიის მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ნედლეული და მასალები	618,312	518,296
მზა პროდუქცია	302,542	271,506
სხვა	6,732	44,420
სულ მარაგები რესერვის გამოკლებით	927,586	834,222
მარაგების რეზერვი	(48,718)	(52,260)
სულ მარაგები რესერვის გამოკლებით	878,868	781,962

კომპანიის ნელა ბრუნვადი მარაგების რეზერვის მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საწყისი ნაშთი	52,260	-
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვის ხარჯი	31,203	52,260
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვის ხარჯის ამობრუნება	(34,745)	-
საბოლოო ნაშთი	48,718	52,260

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,362,495	1,525,864
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2,110	113
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,364,605	1,525,977
გაუფასურების რეზერვი	(41,750)	(13,334)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	1,322,855	1,512,643

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ. სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია კონტრაგენტებისთვის მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ წარმოქმნილ მიუღებელ მოთხოვნას.

	2023	2022
საწყისი ნაშთი	13,334	-
წლის დარიცხვა	28,416	13,334
საბოლოო ნაშთი	41,750	13,334

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

9. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	353,281	429,248
სულ გადახდილი ავანსები	353,281	429,248

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტების 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	161,948	24,313
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	133	25,960
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	162,081	50,273

ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში არის მოთხოვნამდე. მოთხოვნამდე საბანკო ბალანსები განთავსებული იყო “BB-“ რეიტინგის მქონე ბანკში ფიჩის რეიტინგის მიხედვით.

11. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოკლევადიანი სესხები	1,358,290	1,285,274
გრძელვადიანი სესხები	6,205,833	5,218,354
საპროცენტო ვალდებულება	159,265	85,940
	7,723,388	6,589,568

კომპანიის სესხების შესახებ შეჯამებული ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მსესხებელი	ვალუტა	ძირი თანხა	სესხის აღების თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	გადასახდ ელი ძირი 31/12/2023	გადასახდელი ძირი 31/12/2022
საქართველოს ბანკის სესხი	ლარი	1,500,000	3/24/2023	3/24/2030	3.5%	1,500,000	-
საქართველოს ბანკის სესხი	ლარი	5,000,000	9/12/2019	9/4/2026	15%	3,632,385	4,644,279
საქართველოს ბანკის სესხი:	ლარი	1,500,000	9/4/2020	9/4/2026	NBG ref rate +5%	1,104,601	1,432,248
კონვერტირებადი სესხი	დოლარი	300,000	3/13/2023	3/13/2026	8%	849,469	-
შპს მჯ იურიდიული ოფისი	ლარი	24,780	11/10/2023	11/10/2026	11%	24,780	-
ზაზა კიკვაძე	ლარი	30,675	10/20/2023	10/20/2026	11%	30,675	-
ჟაკ ფლოური	დოლარი	65,000	3/24/2020	3/24/2022	6%	-	-
ჟაკ ფლოური	დოლარი	20,000	4/1/2021	4/1/2023	6%	39,104	39,287
ჟაკ ფლოური	დოლარი	38,281	7/16/2021	7/16/2025	6%	102,953	103,435
ჟაკ ფლოური	დოლარი	20,000	8/12/2021	8/12/2025	6%	53,788	54,040
ჟაკ ფლოური	დოლარი	23,460	9/8/2021	9/8/2025	6%	63,093	63,389
ჟაკ ფლოური	დოლარი	20,000	10/13/2021	10/13/2025	6%	53,788	54,040
ჟაკ ფლოური	დოლარი	5,176	12/8/2021	12/8/2025	6%	13,920	13,986
ჟაკ ფლოური	დოლარი	10,000	12/20/2021	12/20/2025	6%	26,894	27,020
ჟაკ ფლოური	დოლარი	8,044	3/15/2022	3/15/2026	6%	21,634	21,735
ჟაკ ფლოური	დოლარი	50,171	12/19/2022	1/5/2023	6%	-	50,169
ჟაკ ფლოური		47,040				47,039	-
სულ გადასახდელი სესხის ძირი						7,564,123	6,503,628
დარიცხული პროცენტი						159,265	85,940
სულ ნასესხები თანხები						7,723,388	6,589,568

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2021	7,371,908
სესხის აღება	232,448
საპროცენტო ხარჯი	1,032,634
გადახდილი პროცენტი	(962,579)
სესხის ძირის გადახდა	(978,062)
საკურსო სხვაობა მოგება	(106,781)
31 დეკემბერი 2022	6,589,568
სესხის აღება	2,566,354
საპროცენტო ხარჯი	1,063,060
გადახდილი პროცენტი	(989,734)
სესხის ძირის გადახდა	(1,537,346)
საკურსო სხვაობა ზარალი	31,486
31 დეკემბერი 2023	7,723,388

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	716,821	748,124
გადასახდელი ხელფასები	39,474	38,897
ვალდებულება პერსონალის მიმართ	-	2,100
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	756,295	789,121

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას მარაგების მომწოდებლების და სერვისების მომწოდებლების მიმართ კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის მიმდინარე და წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებებს.

13. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა

საგადასახადო ვალდებულებები და საგადასახადო აქტივები წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს წმინდა საგადასახადო ვალდებულება.

14. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია მისი შევსების მიხედვით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა სრულად შეტანილი 6,476,255 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი (2022 წლის 31 დეკემბერი 6,274,198). 2023 და 2022 წლების განმავლობაში კომპანიას არ გაუცხადებია დივიდენდები.

15. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი ქართული პროდუქტის რეალიზაციიდან	4,409,167	3,041,646
შემოსავალი პურის რეალიზაციიდან	3,386,941	3,092,448
შემოსავალი ნამცხვრების რეალიზაციიდან	2,264,159	865,161
სულ შემოსავალი	10,060,267	6,999,255

კომპანიის შემოსავლები წარმოდგენილია ფასდათმობების და უკან დაბრუნებების გათვალისწინებით.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ნედლეულის და მასალების ხარჯი	4,436,543	3,283,725
ხელფასის ხარჯი	1,407,766	1,032,495
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	673,081	609,777
ელექტროენერგიის ხარჯი	356,699	313,004
სხვა	184,312	167,744
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7,058,401	5,406,745

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	860,875	673,443
ავტომობილების რემონტის ხარჯი	176,288	105,918
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	141,699	106,132
საოფისე ხარჯი	73,059	60,806
საგადასახადო ხარჯი	71,554	58,057
რემონტის ხარჯი	44,897	50,810
საპენსიო ხარჯი	41,817	30,114
საკონსულტაციო ხარჯი	39,629	79,526
დაზღვევის ხარჯი	35,651	41,341
დაცვის ხარჯი	27,477	24,836
მივლინების ხარჯი	8,226	15,013
სხვა	74,910	62,133
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,596,082	1,308,129

18. მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები

კომპანიის მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მარკეტინგული ხარჯი	626,886	414,678
საწვავის ხარჯი	275,333	255,104
ხელფასის ხარჯი	127,253	82,727
სხვა	16,766	9,597
სულ მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	1,046,238	762,106

19. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება

კომპანიის კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
რეალიზებული საკურსო ზარალი	(17,407)	(23,336)
არარეალიზებული საკურსო მოგება/(ზარალი)	(30,458)	105,853
სულ მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(47,865)	82,517

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება

	2023	2022
საკურსო მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებიდან	2,241	(869)
საკურსო ზარალი ფული და ფულის ექვივალენტებიდან	(17,407)	(23,336)
საკურსო მოგება/(ზარალი) ფინანსური ვალდებულებებიდან	(32,699)	106,722
სულ მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(47,865)	82,517

20. არასაოპერაციო ხარჯი

კომპანიის არასაოპერაციო ხარჯი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
არაფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	232,313	303,687
მარაგების რეზერვის ხარჯი	31,203	52,260
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	28,416	13,334
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	52,177	67,585
სულ არასაოპერაციო ხარჯი	344,109	436,866

21. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირის სახე	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
მიღებული სესხები	მფლობელი	1,327,137	427,101
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	მფლობელი	67,779	45,784
სულ ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან		1,394,916	472,885

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები შემდეგია:

კავშირის სახე		2023	2022
საპროცენტო ხარჯი	მფლობელი	21,995	34,385
სულ ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან		21,995	34,385

2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის უმაღლესი რანგის მენეჯმენტზე გადახდილი ხელფასები შეადგენს:

	2023	2022
უმაღლესი რანგის მენეჯმენტის ხელფასები	98,653	81,009
სულ	98,653	81,009

23. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ ცვლილებები და ინტერპრეტაციები არ მომხდარა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს).

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 12 დეკემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 280,000 ლარით (ფულადი შენატანის გზით), ასევე კომპანიამ დაიმატა საბანკო სესხი 700,000 ლარის ოდენობით.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ სხვა არფერი მომხდარა, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას საჭიროებს.